0006905 გამყოფი ტიხრების შესყიდვა და მონტაჟი (განმეორებით)

RFP

სს “თიბისი ბანკი” განმეორებით გიწვევთ ღია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის – tenders.ge საშუალებით.

I. მონაწილეობის წესები

წინადადებების ატვირთვა შესაძლებელია30.04.2026წ. 12:00 საათიდან 18:00 საათამდე.

ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:
გიორგი აბესალაშვილი 577 077 759 GAbesalashvili@Tbcbank.ge

დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით:
ვახტანგ ქიტუაშვილი 599 88 45 30 Vkituashvili@Tbcbank.ge

- ტენდერის შემდგომ დაზუსტების მიზნით მოწოდებული ყველა ტიპის ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.
- გამარჯვებული გამოვლინდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: **ფასი, კომპანიის გამოცდილება და შემოთავაზების ტექნიკური შეფასება.**
- პრეტენდენტი ვალდებულია გამარჯვების შემთხვევაში წარმოადგინოს თიბისი ბანკის ანგარიშის რეკვიზიტები;
- პრეტენდენტი ვალდებულია ბანკის მიმართვის შემთხვევაში შესაბამისი ფორმატის მეშვეობით დააზუსტოს შემოთავაზებული საქონლის წარმოშობის შესახებ ინფორმაცია - მწარმოებელი კომპანია, წარმოშობის ქვეყანა და სხვა.
- თანაბარმნიშვნელოვანი წინადადებების შემთხვევაში ბანკი უფლებას იტოვებს გადაწყვეტილება მიიღოს საავანსო მოთხოვნის გათვალისწინებით.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.com.ge
- ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს შესყიდვის პროცესი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში (მხოლოდ ერთი სატენდერო განაცხადი და ა.შ.), რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;

II. ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები

გაბარიტები: სიმაღლე - 7.15 მ, საერთო სიგრძე - დაახლოებით 45 გრძივი მეტრი.

ზედა ჭერის სიმაღლე (ფერმის, კონსტრუქციებისა და მოწყობილობების ჩათვლით): 1300 მმ

აკუსტიკა: ხმის იზოლაცია (STC) უნდა იყოს 55 dB. NRC: 0.7. (აუცილებელია დადასტურებული იყოს სერტიფიკატებით).

მართვა: უმჯობესია მოვითხოვოთ ფასები როგორც მექანიკურ, ისე სრულად ელექტრონულ სისტემებზე.

კარები: სისტემაში უნდა ჩაშენდეს 4 დამოუკიდებელი კარი (Wicket doors).

ვიზუალი: სივრცისთვის შესაფერისი ზედაპირი (ფინიშინგი დასაზუსტებელია).

წინადადების მომზადებამდე მნიშვნელოვანია ობიექტზ ევიზიტი.

იხილეთ თანდართული პრეზენტაცია: PC GALLERY Partitions

III. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- კომპანიის რეკვიზიტები და განფასება **(სატენდერო დანართი N1);**
- შემოთავაზების დეტალური ტექნიკური განმარტება და სრული ტექნიკური ინფორმაცია **(თავისუფალი ფორმით);**
- ინფორმაცია ანალოგიური მიწოდების-მომსახურების გაწევის შესახებ საქართველოს ბაზარზე **(თავისუფალი ფორმით);**
- სრულად შევსებული და ხემოწერილი KYP ფაილი;
- ხელმოწერილი და დასკანერებული აფიდავიტის ფორმა;